

# Programme

## Camille Saint-Saëns

### Tarantella for Flute, Clarinet and Piano, Op. 6

Tarantella Op. 6, is a lively and captivating chamber music piece for Flute, Clarinet, and Piano by the renowned French composer Camille Saint-Saëns. The work was completed in 1857 when Saint-Saëns was just 22 years old, and it showcases his prodigious talent as a composer at an early age. The Tarantella is a musical genre inspired by the lively and energetic Italian folk dance of the same name. The dance was traditionally believed to have curative powers and was performed to counteract the effects of the venomous bite of a tarantula spider. The music of a tarantella is characterized by its rapid tempo, fiery rhythms, and exhilarating melodies. Saint-Saëns dedicated the piece to Louis Dorus and Adolphe Leroy, who respectively held the positions of the first flute and the first clarinet at the Académie Royale de Musique. At the premiere on April 28, 1857, held at the Salle Pleyel, Saint-Saëns took to the piano to accompany the two dedicatees. In Saint-Saëns' "Tarantella," the flute, clarinet, and piano, each play essential roles, engaging in spirited dialogues and showcasing their virtuosic capabilities. The music alternates between sections of fiery exuberance and more lyrical passages, adding dynamic contrast to the overall composition. Its combination of elegant melodies, rhythmic intensity, and joyful spirit makes it a popular and enjoyable chamber music work.

## Georges Bizet

### Carmen, arrangement for 2 Flutes

"Carmen" is one of the most beloved and iconic operas in the classical music repertoire, composed by Georges Bizet. It tells the passionate and tragic story of the alluring gipsy, Carmen, and her ill-fated love affair with the soldier, Don José. The opera is filled with captivating melodies, rhythmic flair, and emotional intensity, making it a timeless favourite among audiences worldwide. The opera inspired numerous musicians to create arrangements for various instruments. In the arrangement for two flutes, the essence of Bizet's "Carmen" is distilled into a thrilling and virtuosic duet for the flute players. The two flutes take on the roles of the various characters, infusing the music with expressive storytelling and vibrant colours. Through the enchanting sounds of the flutes, listeners can immerse themselves in the drama and allure of the original opera, experiencing the intense emotions and evocative scenes that define Carmen's tragic tale. In this two-flute arrangement, audiences will encounter the essence of "Carmen" through a fresh and unique perspective, highlighting the flute's ability to convey the beauty and drama of Bizet's masterpiece.

## Max Bruch

### Eight Pieces for Clarinet (Violin), Viola and Piano, Op.83

Max Bruch, a German composer known for his romantic and

Max Bruch, a German composer known for his romantic and expressive compositions, wrote the Eight Pieces Op. 83 originally for clarinet, viola, and piano in 1908-1910, but he also provided alternative versions for violin, viola, and piano and for clarinet, cello, and piano, giving performers the option to choose instruments. Besides, Bruch intended the Eight Pieces to be regarded as a collection rather than a cycle, and he published them in eight separate booklets. He entrusted the performers with the freedom to select individual pieces. This flexibility adds to the appeal and versatility of the work. The Eight Pieces were written for Bruch's son Max Felix, a talented clarinetist, during a time when Bruch was living in Berlin and facing personal and professional challenges. Despite the difficulties he encountered, he found solace in composing chamber music during this period. Though not as well-known as some of his other works, the "Eight Pieces" exemplify Bruch's skill in creating evocative chamber music. The emotional depth and introspective nature of the compositions provide performers and listeners alike with a glimpse into Bruch's world and his profound musical expression.

### Edvard Grieg

#### Sonata for Violin and Piano No. 3 in C Minor, Op. 45

Edvard Grieg's Third Sonata for Violin and Piano is a compelling and expressive work that showcases the composer's mastery in creating evocative chamber music. Completed in 1887, this sonata is one of Grieg's later compositions and represents a significant contribution to the violin and piano repertoire. The history of the composition of Grieg's Third Violin Sonata is tied to his friendship with the violinist Adolf Brodsky, whom he met in 1884. Grieg and Brodsky collaborated on several occasions, and Brodsky premiered this sonata in Leipzig on December 10, 1887, with the composer on the piano. Grieg drew upon Norwegian folk melodies and rhythms in crafting this three-movement Sonata. However, while he perceived the Second Violin Sonata as the "Norwegian" one, he considered the Third Sonata to possess a "broader horizon" in terms of its musical scope. It's worth noting that this was Grieg's final composition written in the sonata form. Grieg's Third Violin Sonata is a remarkable example of his mature compositional style, blending elements of Romanticism with his distinctive nationalistic voice. Its captivating melodies, emotional range, and engaging musical storytelling make it a cherished and frequently performed work in the chamber music repertoire. Interestingly, Grieg himself held a personal fondness for this composition.

### Meanwhile in Georgia...

The LISA BATIASHVILI FOUNDATION, a non-profit organization, is dedicated to assisting young and exceptionally gifted musicians residing in Georgia. The scholarship recipients are handpicked by the founder and artistic director, Lisa Batiashvili, in collaboration with the foundation's advisory board, which comprises influential figures from the international music community. Additionally, aspiring candidates have the opportunity to apply within the specified annual deadline. The foundation's primary goal is to make a lasting impact on the development of

extraordinary musical talent and to create opportunities for musicians who face financial constraints when embarking on their professional journey. The focus is centred on nurturing the personal growth of young individuals by supporting their musical education and aiding them in taking their initial steps into the professional music realm. The foundation offers both financial assistance and non-material support, tailored to meet the specific needs of each scholarship recipient.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

კამილ სენ-სანსი

ტარანტელა ფლეიტის, კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 6

ტარანტელა თხზ. 6 ცნობილი ფრანგი კომპოზიტორის კამილ სენ-სანსის ცოცხალი და ენერგიული ნაწარმოებია დაწერილი ფლეიტის, კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის. ტარანტელა შეიქმნა 1857 წელს, როდესაც სენ-სანსი სულ რაღაც 22 წლის იყო. ტარანტელა მუსიკალური ჟანრია, შთაგონებული ამავე სახელწოდების ცოცხალი და ენერგიული იტალიური ხალხური ცეკვით. ითვლებოდა, რომ ამ ცეკვას სამკურნალო ძალა ჰქონდა და მას ცეკვავენ ტარანტელის შხამიანი ნაკბენისგან თავდასაცავად. ტარანტელას მუსიკა ხასიათდება სწრაფი ტემპით, ცეცხლოვანი რიტმებითა და ამაღელვებელი მელოდიებით. სენ-სანსმა ეს ნაწარმოები მიუძღვნა ლუი დორუსსა და ადოლფ ლეროის, რომლებსაც ეკავათ პირველი ფლეიტის და პირველი კლარნეტის პოზიციები Royale de Musique-ში. 1857 წლის 28 აპრილს სალ-პლიელში გამართულ პრემიერაზე სენ-სანსმა საფორტეპიანო თანხლება გაუწია მიძღვნის ორ ადრესატს. ტარანტელაში სამივე შემსრულებელი თანაბრად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მონაწილეობს რა აქტიურ დიალოგებში და წარმოაჩენს საკუთარი ინსტრუმენტის ვირტუოზულ შესაძლებლობებს. მუსიკა მოიცავს როგორც ცეცხლოვან პასაჟებს, ისე ლირიკულ მონაკვეთებს, რაც ნაწარმოებს დინამიკურ კონტრასტს მატებს. ელეგანტური მელოდიების, რიტმული ინტენსივობისა და მხიარული ხასიათის კომბინაცია ტარანტელას პოპულარულ ნაწარმოებად ხდის.

ჟორჟ ბიზე

„კარმენი“, არანჟირება 2 ფლეიტისთვის

„კარმენი“ ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და საკულტო ოპერაა, რომლის ავტორი ჟორჟ ბიზეა. ის მოგვითხრობს მაცდუნებელი ბოშას - კარმენის და ჯარისკაც დონ ხოსეს საბედისწერო სიყვარულის ტრაგიკულ ამბავს. ოპერა სავსეა მომხიბვლელი მელოდიებით, ცეცხლოვანი რიტმებითა და ინტენსიური ემოციებით, რაც მას ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად აქცევს. ოპერამ შთააგონა მრავალი მუსიკოსი, შეექმნათ გადამუშავებები სხვადასხვა ინსტრუმენტისთვის. ორი ფლეიტისთვის შექმნილ არანჟირებაში „კარმენის“ მხატვრული არსი გადმოცემულია ფლეიტების ვირტუოზულ დუეტში. ორივე ფლეიტა ასრულებს სხვადასხვა პერსონაჟის როლებს, ავსებს რა მუსიკას ექსპრესიული თხრობითა და ცოცხალი ფერებით.



ფლექტების მომაჯადოებელი ბგერების საშუალებით მსმენელს შეუძლია ჩაეფლოს ორიგინალური ოპერის დრამაში, განიცადოს მძაფრი ემოციები და გაიხსენოს დრამატული სცენები, რომლებიც განსაზღვრავს კარმენის ტრაგიკულ ამბავს. ამ არანჟირებაში მაყურებელი ახალი კუთხიდან შეიყნობს „კარმენს“, რაც წარმოაჩენს ფლექტის უნარს, გადმოსცეს ბიზეს შედეგის სილამაზე და დრამა.

მაქს ბრუხი

8 პიესა კლარნეტის (ვიოლინოს), ალტისა და ფორტეპიანოსთვის, თხზ. 83

გერმანელმა კომპოზიტორმა მაქს ბრუხმა 1908-1910 წლებში დაწერა რვა პიესა თხზ. 83 კლარნეტის, ალტისა და ფორტეპიანოსთვის. თუმცა მან ასევე შექმნა ალტერნატიული ვერსიები როგორც ვიოლინოს, ალტისა და ფორტეპიანოს, ისე კლარნეტის, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. ეს შემსრულებლებს აძლევდა ინსტრუმენტების არჩევის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ბრუხმა რვა პიესა კრებულად და არა ციკლად ჩაიფიქრა, გამოსცა რა პიესები რვა განცალკევებულ რვეულად. მან შემსრულებლებს მიანდო პიესების რაოდენობის არჩევის თავისუფლება. ასეთი მოქნილობა კიდევ უფრო ზრდის მათ მომხიბვლელობას. რვა პიესა შეიქმნა ბრუხის ვაჟისთვის, ნიჭიერი კლარნეტისტი მაქს ფელიქსისთვის. იმ დროს კომპოზიტორი ბერლინში ცხოვრობდა და პირად და პროფესიულ გამოწვევებს ებრძოდა. მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც ის ამ პერიოდში წააწყდა, ბრუხი ნუგეშს მუსიკის წერაში პოულობდა. მართალია, პიესები არც ისე კარგად არის ცნობილი, როგორც მისი ზოგიერთი სხვა ნაწარმოები, რვა პიესის ემოციური სიღრმე და ექსპრესიული ბუნება შემსრულებლებსაც და მსმენელებსაც თვალნათლივ წარუდგენს ბრუხის ღრმა და საინტერესო მუსიკალურ სამყაროს.

ედვარდ გრიგი

სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის No. 3 დო მინორი, თხზ. 45

ედვარდ გრიგის მესამე სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის 1887 წელს დაიწერა. ეს სონატა არის გრიგის ერთ-ერთი გვიანდელი კომპოზიცია და წარმოადგენს კამერული მუსიკის რეპერტუარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს. მესამე სავიოლინო სონატის დაწერის ისტორია დაკავშირებულია გრიგის მეგობრობასთან მევიოლინე ადოლფ ბროდსკისთან, რომელიც მან 1884 წელს გაიცნო. გრიგმა და ბროდსკიმ არაერთხელ ითანამშრომლეს და მევიოლინემ მესამე სონატის პრემიერაც შეასრულა ლაიფციგში 1887 წლის 10 დეკემბერს. კომპოზიტორი მას ფორტეპიანოზე თანხლებას უწევდა. სამნაწილიანი სონატის მუსიკალურ მასალაზე მუშაობისას გრიგმა უხვად გამოიყენა ნორვეგიული ხალხური მელოდიები და რიტმები. თუმცა, ის „ნორვეგიულად“ აღიქვამდა მეორე სავიოლინო სონატას, მესამეს კი, მისი მუსიკალური მასშტაბიდან გამომდინარე, „უფრო ფართო ჰორიზონტის“ მქონე თხზულებად მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო გრიგის ბოლო ნაწარმოები დაწერილი სონატის სახით. ზრდიის მესამე სავიოლინო სონატა არის შესანიშნავი

გრიგის სესხე საკონტრაქტო სახეს აქვს სესხისასაც მაგალითი გრიგის შედარებით გვიანდელი სტილისა, რომელიც რომანტიზმის მიღწევებს ეროვნული მუსიკალური კულტურის ელემენტებთან ახამებს. მიმზიდველი მელოდიები, ფართე ემოციური დიაპაზონი და საინტერესო მუსიკალური თხრობა სონატას ერთ-ერთ ყველაზე ხშირად შესრულებად ნაწარმოებად აქცევს და უმკვიდრებს მას მნიშვნელოვან ადგილს კამერული მუსიკის რეპერტუარში. საინტერესოა, რომ თავად გრიგსაც განსაკუთრებით უყვარდა ეს სონატა.

ამ დროს საქართველოში...

არაკომერციული ორგანიზაცია ლიზა ბათიაშვილის ფონდი მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა და განსაკუთრებულად ნიჭიერი მუსიკოსების დახმარებას. სტიპენდიანტებს ირჩევს ფონდის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლიზა ბათიაშვილი, ფონდის მრჩეველთა საბჭოსთან თანამშრომლობით, რომელიც შედგება საერთაშორისო მუსიკალური საზოგადოების გავლენიანი ფიგურებისგან. გარდა ამისა, კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა, შეიტანონ განაცხადი დადგენილ ვადებში. ფონდის მთავარი მიზანია გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს არარეგულბრივი მუსიკალური ნიჭის მქონე ახალგაზრდების განვითარებაზე და წინსვლის შესაძლებლობები შეუქმნას იმ მუსიკოსებს, რომლებიც ფინანსური შეზღუდვების წინაშე დგანან პროფესიული განვითარების საწყის ეტაპზე. აქცენტი კეთდება ახალგაზრდების პიროვნულ ზრდაზე, რაც მიიღწევა მათი მუსიკალური განათლების მხარდაჭერითა და პროფესიონალურ მუსიკალურ სფეროში საწყისი ნაბიჯების გადადგმაში დახმარებით. ფონდი ახალგაზრდებს სთავაზობს როგორც ფინანსურ, ისე არამატერიალურ დახმარებას, რომელიც მორგებულია თითოეული სტიპენდიანტის სპეციფიკურ საჭიროებებზე.



31-10 September  
August 2023

5TH ANNIVERSARY

PROGRAMME NOTES  
BY NINO JVANIA